European Commission

ევროკავშირის პასუხი კორონავირუსის პანდემიაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

#strongertogether

აპრილი, 2020
#Coronavirus

გლობალური სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდება კორონავირუსის პანდემიას, ევროკომისია მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს: აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვის რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთსა და უკრაინას საგანგებო მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედებით:

80 მილიონი ევრო
გადაუდებელი საჭიროებებისთვის

883 მილიონამდე ევრო
მოკლევადიანი და საშუალოვადიანი საჭიროებებისთვის რეგიონის სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მხარდასაჭერად

რეგიონულ დონეზე

პასუხი გადაუდებელ საჭიროებებზე:

ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა (30 მილიონი ევრო):

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO) თანამშრომლობა სამედიცინო მოწყობილობების და პერსონალური აღჭურვილობების მიწოდების გზით, როგორიცაა ხელოვნური სუნთქვის აპარატები, ლაბორატორიული ნაკრებები, ნიღბები, სამედიცინო დამცავი სათვალეები და ხალთათმანები.
- სამედიცინო და ლაბორატორიული პერსონალის ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება ექვსივე ქვეყანაში.

საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფების საჭიროებების მხარდაჭერა (11.3 მილიონი ევრო)

- 60,000 ევრომდე გრანტების სახით სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაუდებელ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, მაგ. ადგილობრივი სკოლების მხარდაჭერა დისტანციური სწავლებით, რაც უკვე ხელმისაწვდომია ევროკავშირის რეგიონული "სწრაფი რეაგირების მექანიზმის" საშუალებით.
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის სოლიდარობის პროგრამის" დაწყება მოსახლეობის ყველაზე მეტად დაზარალებული ნაწილისთვის, ქვე-გრანტებით მცირე ზომის ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის.

სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენის შემცირება:

მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საფინანსო ინსტიტუტებთან ევროპის კოორდინირებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა **TEAM EUROPE**:

მხარდაჭერის ახალი პროგრამის დაწყება 100 მილიონი ევროს ბიუჯეტით **მცირე და საშუალო საწარმოების**, მათ შორის თვითდასაქმებული და სხვა პირების მხარდასაჭერად, რათა მათ **გაუადვილდეთ წვდომა კრედიტებზე** და **სწრაფად განავითარონ საკუთარი ბიზნესი** ამ კრიზისის შემდეგ.

200 მილიონი ევროს არსებული **საკრედიტო ხაზები** და გრანტები **მცირე და საშუალო საწარმოებისთვის** ადგილობრივ ვალუტაში ინიციატივის **EU4Business** საშუალებით.

ევროკავშირის სამეზობლოსთვის ხელმისაწვდომია 500 მილიონი ევრო ევროკავშირის რისკის შემცირების მთავარი მექანიზმის, **მდგრადი განვითარების ევროპული ფონდის** საშუალებით ლიკვიდურობის სწრაფი უზრუნველყოფისთვის მთელ რეგიონში.

EaP Eastern Partnership

2 რა დახმარებას უწევს ევროკავშირი ცალკეულ პარტნიორ ქვეყნებს და როგორ გაძლიერდება ეს დახმარება?

სომხეთი

92 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: 3000-ზე მეტი დაუცველი ოჯახი,რომელთა დიდი ნაწილი წარმოადგენს ხანდაზმული და უნარშეზღუდული ადამიანების ჯგუფს, ასევე დიდი ოჯახები შირაკის, ტავუშის და ლორის რეგიონებში მიიღებენ ჰუმანიტარულ დახმარებას ევროკავშირის მხარდაჭერით.

აზერბაიჯანი

14 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: ევროკავშირის დაფინანსებით პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლები რამდენიმე რეგიონში (განჯა, მინგეჩაური, ჯალალაბადი, კახი, ისმაილი) შეიძენენ დანადგარებს სამედიცინო პერსონალი პირადი დაცვის ტანსაცმლის წარმოების მიზნით.

ბელარუსი

60 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: ევროკავშირის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტების დახმარებით, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს უკრაინის, პოლონეთის და ბელარუსის მოსახლეობას, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებები, კერძოდ სასწრაფო დახმარების მანქანები და ხელოვნური სუნთქვის აპარატები ხელმისაწვდომია საავადმყოფოებში ექიმების დასახმარებლად COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლისთვის.

საქართველო

183 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: სამედიცინო ტექსტილის ქართულმა საწარმომ ერთი კვირის განმავლობაში 40.000 სამედიცინო ხალათი გამოუშვა მას შემდეგ, რაც მან შეძლო დამატებით 12 საკერავი მანქანის შეძენა ევროკავშირის მიერ უზრუნველყოფილი მიკროგრანტის დახმარებით.

მოლდოვა

87 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: ევროკავშირის პროექტები მოლდოვაში უკვე მუშაობენ დაუცველი ადამიანების და სამედიცინო პერსონალის დაცვის კომპლექტებით, კერძოდ ხელთათმანებით და ნიღბებით უზრუნველსაყოფად, ასევე აპარატურის სადეზინფექციო საშუალებების მისაწოდებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით.

უკრაინა

190 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის მაგალითი: ევროკავშირი მხარს უჭერს მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ჩამოყალიბებას დაუცველი ადამიანების დახმარებით, ონლაინ განათლებაზე გადასვლით, დეზინფორმაციასთან ბრძოლით და კულტურული მრავალფეროვნების გაძლიერებით ონლაინ რეჟიმში.

© ევროკავშირი, 2020
ამ დოკუმენტის გამოყენება ნებადართულია იმ პირობით, თუ სათანადოდ არის ასახული ავტორი და მითითებულია ნებისმიერი ცვლილება (Creative Commons Attribution 4.0 International license). იმ მონაცემების გამოყენებისას, რომლებიც არ წარმოადგენს ევროკავშირის საკუთრებას, შესაძლოა საჭირო გახდეს ნებართვის მოპოვება უშუალოდ მფლობელისგან.
ყველა გამოსახულება © European Union, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. პიქტოგრამები © Flaticon – ყველა უფლება დაცულია.

EaP Eastern Partnership